

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

1.1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი;
ევროპული ადმინისტრაციული სამართალი; განათლების სამართალი; სამართლის
საფუძვლები - ასოცირებული პროფესორი.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა
ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო -
პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ასევე:

- ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებისა და
სასამართლო პროცესებზე წარმომადგენლობის გამოცდილება;
- ადმინისტრაციული სამართლის, ევროპული ადმინისტრაციული სამართლის,
განათლების სამართლის მიმართულებით კვლევებში, ასევე პროექტებში მონაწილეობის
გამოცდილება;
- პუბლიკაციები ადმინისტრაციულ სამართალში, ევროპულ ადმინისტრაციულ
სამართალში, ასევე განათლების სამართალში;
- ინგლისური ენის ცოდნა.

უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:

- საკონსულტაციო გამოცდილებით;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული იურიდიული
განათლებით.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 1 დეკემბრიდან - 2018 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/72741801618456>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2018 წლის 6 დეკემბრიდან - 2018 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2018 წლის 10 დეკემბრიდან - 2018 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: vacancy@freeuni.edu.ge